

საქართველოს საპროკურორო საბჭოს
2018 წლის 6 თებერვლის სხდომის
ოქმი №7

თბილისი,

06 თებერვალი, 2018 წ.

სხდომა დაიწყო 12.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია;
- საქართველოს პარლამენტის წევრი – ოთარ კახიძე;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამომიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბოძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- ჟამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონდულაშვილი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;
- სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;
- სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წარმომადგენელი, ადვოკატი – ირმა ჭვადუა.

კომისიის სხდომაზე მოწვეული გახლდათ საქართველოს მთავარი პროცესურორი ირაკლი შოთაძე.

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა საქართველოს მთავარი პროცესურატურის საპროცესურო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – ლონდა თოლორაა;

კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 12:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროცესურო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;
2. საქართველოს მთავარი პროცესურორის, ბატონი ირაკლი შოთაძის, ანგარიშის მოსმენა პროცესურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ („პროცესურატურის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-8¹ მუხლის შესაბამისად);
3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საპროცესურო საბჭო შეიკრიბა მთავარი პროცესურორის ანგარიშის მოსასმენად, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი. თავმჯდომარის განცხადებით, ანგარიშის მოსმენის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა პროცესურატურის ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კითხვების დასმა და დისკუსიის გამართვა საბჭოს უფლებამოსილების ფარალებში. შემდგომ მან სიტყვა გადასცა საქართველოს მთავარ პროცესურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, რათა მას წარმოედგინა ანგარიში პროცესურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურორი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ანგარიში მოიცავს ბოლო 6 თვის საქმიანობის პერიოდს; ამასთან, იგი იძლევა საშუალებას, სრულად შეფასდეს პროკურატურის ორგანოთა 2017 წლის საქმიანობა. მთავარი პროკურორის განცხადებით, საქართველოს პროკურატურაში აქტიურად მიმდინარე რეფორმების ფონზე უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტს პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვა წარმოადგენს. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე; გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგებსა და დანაშაულის პრევენციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე. დოკუმენტში წარმოჩენილია ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა: ოჯახში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, არასათანადო მოპყობის, ტრეფიკინგისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები.

ამასთან, ბატონი ირაკლის განცხადებით, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგებზე; ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვის, პროკურორობა შეფასების სისტემის, გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების, პროკურატურის ინიციატივით ჩატარებული კვლევების, ეთიკის კოდექსის, გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავების, საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაზე და სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით 2017 წლის განმავლობაში შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.

შემდეგ მთავარმა პროკურორმა საბჭოს წარუდგინა დეტალური ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ (იხ. ბმული: <http://pc.gov.ge/block/index/465>).

საბჭოს თავმჯდომარემ მთავარ პროკურორს მადლობა გადაუხადა წარმოდგენილი ანგარიშისთვის და კითხვა-პასუხის სესია გახსნილად გამოაცხადა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ოთარ კახიძეს (საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე). მან მთავარი პროკურორის ანგარიში დადებითად შეაფასა და მადლობა გადაუხადა პროკურორებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით გატარებული სამუშაოსთვის. ბატონი მიესალმა ოჯახში ძალადობის პრობლემებზე არსებულ რეაგირებებს, სისხლის სამართლის მკაცრ პოლიტიკასა და განრიდების გამოყენების მაჩვენებლის ზრდას. იგი შეეხო შეფასების სისტემის, გამოძიების სახელმძღვანელოსა და ელექტრონული საქმისწარმოების ახალი პროგრამის შემუშავების საკითხებს. მისი მოსაზრებით, უმჯობესია მსგავსი სახის

პროექტებზე მუშაობისას მისი და საპროცესო საბჭოს სხვა წევრების მეტი ჩართულობა. მან მზაობა გამოხატა ზემოხსენებული პროექტების შემუშავებაში სამომავლოდ მონაწილეობის მიღების კუთხით. ბატონი ოთარის თქმით, სასურველია, უფრო დეტალურად მოხდეს ინფორმირება, თუ როგორ ხდება შეფასების სისტემის გამოყენება, ქულების მინიჭება და ყოველივე ეს როგორ აისახება პროცესორთა დაწინაურებასა და წახალისებაზე. ამასთან, მისი მოსაზრებით, კარგი იქნება გამოძიების სახელმძღვანელოსა და ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვა უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტებზე, რათა სტუდენტებს, რომლებსაც სურთ, გახდნენ გამომძიებლები ან პროცესორები, უმაღლეს სასწავლებლებშივე მიეცეთ ზემოხსენებული სახელმძღვანელო/პროგრამის შესწავლის შესაძლებლობა, რათა სტაჟირებისას აღარ შეიქმნას მსგავსი სწავლების საჭიროება.

ბატონმა ოთარმა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადვოკატთა ჩართულობა პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანია, რაც გაამარტივებდა მტკიცებულებათა გაცვლის პროცესს. მან გამოთქვა სურვილი საპროცესო საბჭოს ჩართულობაზე ამა თუ იმ მირეულ თემებთან მიმართებით სისხლის სამართლის ზოგადი პოლიტიკის დამდგენი ჩარჩორეკომენდაციების შემუშავებაში (კერძოდ, საპროცესო შეთანხმების, განრიდების გამოყენების საკითხებზე და არა კონკრეტულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე). ამასთან, მისი თქმით, მიზანშეწონილია, საპროცესო საბჭოს წევრებს სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე მიეწოდოთ მთავარი პროცესორის ანგარიში, რაც სხდომის უფრო ეფექტიანად წარმართვის საფუძველი იქნებოდა.

ბატონი ოთარი დაინტერესდა - თუ რა სურათია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო დევნის შეწყვეტის და ბრალდებაზე უარის თქმის (მაშინ, როდესაც არ არის სათანადო მტკიცებულებები დანაშაულის ფაქტის დასამტკიცებლად ან პირები სარგებლობენ მოწმის იმუნიტეტით) კუთხით; განრიდებით შემოსული თანხის მაჩვენებლით, სრულწლოვანთა განრიდებისას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების, ზიანის ანაზღაურებისა და თანხის გადახდის კომპონენტით. ის შეეხო მთავარი პროცესორის ანგარიშში ნახსენებ საპროცესო შეთანხმებების პარალელურად ჯარიმის გამოყენების მაჩვენებლის შემცირების საკითხს (აქვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს საკითხი ყურადსაღებია, რადგან ჯარიმის გამოყენების შემცირებისას ყველა ქვეყნაში თეორიულად არსებობს პროცესორთა საქმიანობაში კორუფციის რისკები). ბატონ ითარმა ყურადღება გაამახვილა საპროცესო შეთანხმების შედეგებზე, კერძოდ, თუ რატომ იყო დაბალი საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დროს და ამ შემთხვევაში რა უშლის ხელს განრიდების გამოყენების გაზრდას; თუ არის შესაძლებლობა, პირმა გადაიხადოს შესაბამისი თანხა, დაეკისროს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა



და დაზარალებულსაც ზიანი აუნაზღაუროს. მისი მოსაზრებით, ეს დადებითად იმოქმედებს სასამართლოსა და პროკურატურის დროის ეკონომიკური მიმართ.

ბატონი ოთარ კახიძე დაინტერესდა, რა იგეგმება ივანე მერაბიშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებასთან მიმართებით. მის თქმით, 17 მოსამართლის მხრიდან ერთხმადაა დადგენილი პენიტენციური დაწესებულებიდან ივანე მერაბიშვილის გაყვანის ფაქტი; ვიდეოკამერის ჩანაწერების საკითხთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ, თუ მტკიცებულებები ნადგურდება სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა შესაძლო ჩართულობით, პროკურატურა ვალდებულია, ამით დაინტერესდეს. ამასთან, ბატონი ოთარი შეეხო რამდენიმე გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეს და აღნიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში არაპროპორციული იყო სასჯელის გამოყენების ზომა; ამასთან, ისაუბრა საქმეებზე, რომლებზეც, მისი თქმით, გამოძიება ხელოვნურად ჭიანურდებოდა; შეეხო მტკიცებულებათა ფაბრიკაციის თემას (კერძოდ, ხომ არ გამოვლენილა პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მათ შორის, ე.წ. ჩადებების ფაქტები).

ბატონმა ოთარმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვლავ დაიწყო დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნება და ამ მხრივ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლების სისტემატური გამოქვეყნება. მისი თქმით, დანაშაულის რეგისტრაციის პრობლემაა ის, რომ გაორმაგებულია სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. ბატონი ოთარი დაინტერესდა ამ მხრივ როგორია პროკურატურის ჩართულობა და არის სამომავლო გეგმები. დაბოლოს, მან ყურადღება გაამახვილა დანაშაულის სოციოლოგიურ და ნარკოდანაშაულის კვლევებთან დაკავშირებით; ამ უკანასკნელთან მიმართებით კი, აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ განისაზღვრება კონკრეტულ/დეტალურ კვლევით მონაცემებზე ყურადღების გამახვილების გარეშე. კერძოდ, მისი თქმით, მონაცემთა დამუშავებისას უნდა გაითვალისწინონ და ასახონ ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ ან ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირთა ასაკის, სქესის, პროფესიის დინამიკა.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ ეკა ბესელიას (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე). მან წარმოდგენილი ანგარიშისთვის მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი შოთაძეს, დადებითად შეაფასა და ხაზი გაუსვა ანგარიშში მოცემული შედარებითი ანალიზის მნიშვნელობას კანონმდებლისთვის. მისი შეფასებით, პოზიტიურია საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმების გამოყენების მაჩვენებლის შემცირება. ქალბატონმა ეკამ კითხვით მიმართა მთავარ პროკურორს; კერძოდ, გარდა დანაშაულის სიმძიმისა, რა არის მთავარი კრიტერიუმი საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების ოდენობის განსაზღვრისას. მისი შემდეგი კითხვა

შეეხებოდა მთავარი პროცურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს; კერძოდ, რა გამოწვევები არსებობს და ხომ არ არის დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციის საჭიროება, რომელიც ამ დეპარტამენტს ხელს შეუწყობდა დაწყებული საქმეების დასრულებაში. ქალბატონმა ეკამ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე; წინა სხდომის მსგავსად, ხაზი გაუსვა იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოებული პოლიტიკის დამსახურებას იმ ქვეყნების ჩამონათვალში მოხვედრით, რომლებსაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კარგი დინამიკა აქვთ; აქვე შეეხო პრობლემურ საქმეებს (მათ შორის, ცინცაბაძის ჯგუფის საქმე), რომელთა დროში გახანგრძლივება გამოწვეულია ვადის გასვლის გამო მტკიცებულებების მოპოვების პრაქტიკული შეუძლებლობით. მისი მოსაზრებით, შესაძლოა, უმჯობესი იყოს, გარკვეულ პრობლემურ საქმეებზე დადგეს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, ამის შესახებ ეცნობოს მინისტრთა კომიტეტს და დაიხუროს მათი გარკვეული რაოდენობა. ქალბატონმა ეკამ ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან მალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) და 353¹-ე (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან/და საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა) მუხლების გამიჯვნის საკითხს; კერძოდ, დაინტერესდა კონკრეტულად რა ტიპის პრობლემები იკვეთებოდა და ასევე ამ და სხვა რეკომენდაციებთან მიმართებით თუ არსებობდა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მხრიდან.

შემდეგ საპროცურორო საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ვასილ მშვენიერაძეს (თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე). ბატონმა ვასილ ვა დადებითად შეფასა წარმოდგენილი ანგარიში. მან ყურადღება გაამახვილა სასამართლო პროცესებზე პროცურორთა მომზადების მაღალ ხარისხზე და მზაობა გამოხატა სასამართლო კორპუსის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ჩართვაზე, რაც გაამარტივებდა და მოქნილს გახდიდა სასამართლოს მოხელეთა სამუშაო პროცესს. მისი თქმით, ბატონი ოთარის მოსაზრების მსგავსად, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დასახელებულ პროგრამაში ადვოკატების ჩართვაც.

საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე საპასუხოდ სიტყვა გადაეცა ბატონ ირაკლი შოთაძეს, რომელმაც მზაობა გამოხატა საპროცურორო საბჭოს ჩართულობაზე როგორც რეკომენდაციების, ისე შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გამოთქმული ცოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებით. ბატონმა ირაკლიმ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, და პირველად ახალი სისტემის საფუძველზე 2018 წელს პროცურატურის მუშავთა შეფასება



განხორციელდება მთავარი პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. სწორედ ამ მიზნით განახლდა დასახელებული დეპარტამენტი, რომელშიც დასაქმებულ თითოეულ პროკურორს ჩაუტარდა ატესტაცია. შეფასების სისტემის მეშვეობით მიღებული შედეგები იქნება გათვალისწინებული პროკურორების დაწინაურებასა და წახალისებაზე. მთავარი პროკურორის განცხადებით, იქმნება კომისია და თითოეულ პროკურორს ექნება შეფასების სისტემის შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა. სისტემის სიახლის გამო იგი არ გამორიცხავს მოსალოდნელ ხარვეზებსაც, თუმცა, როგორც მან განმარტა, ეს ბუნებრივიცაა და გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრის შემდეგ სისტემა სამომავლოდ უფრო დაიხვეწება.

ბატონმა ირაკლი შოთაძემ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია და მიესალმება ადვოკატების მხრიდან ამ პროგრამაში ჩართვას, რადგან მტკიცებულებათა ელექტრონულად გაცვლა გაამარტივებს როგორც პროკურორების, ისე ადვოკატების საქმიანობას; ეს კი ადამიანური და ფინანსური რესურსის დაზოგვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იქნება. იგი მიესალმა უნივერსიტეტებში იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის დასახელებული სახელმძღვანელოს/პროგრამის შესწავლასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

როგორც მთავარმა პროკურორმა განაცხადა, სამომავლოდ იგი შეეცდება ანგარიში გასაცნობად საბჭოს წევრებს რამდენიმე დღით ადრე მიაწოდოს, რასთან დაკავშირებითაც საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ საბჭოს წევრებისგან იქნებოდა შესაბამისი პირობა, რომ დოკუმენტს არ გამოიყენებდნენ პოლიტიკური მიზნებისთვის. ბატონი ირაკლი შოთაძის განცხადებით, საბჭოს მომდევნო სხდომისთვის დამატებით წარმოდგენილი იქნება სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტაზე, ბრალდებაზე უარის თქმასა და სხვა საკითხებზე. ამასთან, მისი თქმით, ძველი/მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა არ იძლევა სტატისტიკური მონაცემების დათვლის საშუალებას და ძირითად შემთხვევაში პროკურორებს ხელით უწევთ ანგარიშში ასახული მონაცემების შეგროვება.

მთავარმა პროკურორმა ჯარიმის მაჩვენებლის შემცირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დღევანდელ პრაქტიკაში ჯარიმები არ გამოიყენება ყველა სახის დანაშაულზე. ამ სანქციის გამოუყენებლობის შემთხვევები ყოველწლიურად დეტალურ ანალიზს გადის და, როგორც გადამოწმების შედეგებმა აჩვენა, უმეტეს შემთხვევებში, პროკურორი ჯარიმის გამოყენებაზე უარს ამბობს პირის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ბატონი ირაკლის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ პირის ქონებრივი მდგომარეობის შეფასების შემდეგ დადგინდეს ჯარიმის ოდენობა.



საპროცესო შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, გაიზარდოს განრიდების გამოყენება სრულწლოვან ბრალდებულებზე. მისი თქმით, ამ კუთხით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პროკურატურაში და, სავარაუდოდ, მიმდინარე წელს უკვე შესაძლებელი იქნება ამ მექანიზმით სრულყოფილად სარგებლობა სრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ.

ვიდეოკამერის ჩანაწერების საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლი შოთაძემ აღნიშნა, რომ კამერების განთავსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაწესებულებებში, რაც ხელს შეუწყობს და გაამარტივებს საგამოძიებო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას გამოძიების კუთხით. მისი თქმით, გამოძიების მიმდინარეობისას მართლაც შეიძლება ამ კუთხით პრობლემები. დღეისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, პროკურატურა აქტიურად მუშაობს დანაშაულის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სისტემატურად ამოწმებს განცხადებებსა და საჩივრებს და მათ საფუძველზე იწყებს გამოძიებას. რაც შეეხება ვიქტიმიზაციის კვლევის საკითხს, მთავარი პროკურორის განმარტებით, ამ კვლევის ჩატარება იგეგმება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი თქმით, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით კვლევა 2016 წელს ჩატარდა. ბატონი ირაკლის განცხადებით, პროკურატურის პოზიცია ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხებზე არის ლიბერალური, თუმცა, მაგალითად, გასაღებისა და სინთეტურ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს. მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანია გარკვეულ ნარკოტიკულ საშუალებებზე ქვედა ზღვრის ოდენობის დადგენა. იგი იმედოვნებს, რომ ამ კუთხით შემუშავებული კანონპროექტი დადებით ზეგავლენას იქონიებს ნარკოპოლიტიკაზე. მან ისაუბრა სკოლებსა და უნივერსიტეტებში მოსწავლეებისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზეც.

სხდომის მსვლელობისას ბატონმა ოთარ კახიძემ განაცხადა, რომ მას სხდომის ნაადრევად დატოვება უწევდა გარკვეული პირადი მიზეზის გამო. იუსტიციის მინისტრმა ბატონ ითარს რეპლიკით მიმართა და შეახსენა, რომ ყოფილი პრემიერ-მინიტრის, ივანე მერაბიშვილის, საქმეზე ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ გადაწყვეტილება არ იყო ერთსულოვანი და ხმები გადანაწილდა ცხრა რვის წინააღმდეგ. შესაბამისად, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით იქნა გადაწყვეტილება მიღებული. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, კანონი არ აძლევს საპროკურორო საბჭოს უფლებას, პროკურატურისგან მოითხოვის ინდივიდუალურ სისხლის სამართლის საქმეზე ანგარიში.



ოთარ კახიძის მიერ სხდომის ნაადრევად დატოვებასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ საბჭოს წევრთა საყურადღებოდ აღნიშნა, რომ თუკი გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობს, მიზანშეწონილია, საბჭოს წევრები სხდომას ბოლომდე დაესწრონ. რაც შეეხება ბატონი ოთარ კახიძის პოზიციას სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ზემოხსენებული პროგრამა დაწერილია იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სმართ ლოჯიქის“ მიერ, რომელსაც კანონი არ ავალდებულებს, საპროკურორო საბჭოს ჩააბაროს ამ კუთხით გაწეული საქმიანობის ანგარიში. ქალბატონი თეას განცხადებით, სწორედ ბატონი კახიძე, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილეა ერთ-ერთი შემქმნელი იმ ძველი პროგრამისა, რომელიც, ფაქტობრივად, უფლებული და უხარისხოა, რის გამოც, პროკურორების მოთხოვნით, საჭირო გახდა ახლის შექმნა, რათა პროკურორებს არ უწევდეთ ინფორმაციის ხელოთ დამუშავება. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, სსიპ-ს არ შეიძლება სჭირდებოდეს წარუმატებელი გამოცდილებები. თუ მას დახმარება დასჭირდა, ეს იქნება მხოლოდ იმ სახის ექსპერტიზის საჭიროება, რომელიც დარჩენილი პროგრამისტის სამუშაოს 1400 საათს წარმატებით დაასრულებინებს (სულ ჩატარებულია 8000 საათი სამუშაოსი და პროგრამა სატესტო რეჟიმში მუშაობს).

ჯარიმის გამოყენებასა და მის ოდენობასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ პროკურორები მოქმედებენ სპეციალური სახელმძღვანელოს (გაიდლაინების) მიხედვით. მისი თქმით, ჯარიმა, მირითადად, გამოიყენება სამეურნეო, ფინანსური და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროს, პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. თუ პირს არანაირი შემოსავალი არ აქვს, ჯარიმის ალტერნატივის სახით ხდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება.

მთავარმა პროკურორმა ასევე განაცხადა, რომ პროკურატურა აქტიურად მუშაობს საპროცესო შეთანხმების ინსტრუმენტის გამჭვირვალობაზე. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საკანონმდებლო კუთხით აქვთ გარკვეული მოსაზრებები, რაზეც იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით მუშაობენ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ცინცაბაძის ჯგუფის შესახებ მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გარკვეულ საქმეებზე კონკრეტული შედეგების დასადებად. მისი თქმით, თებერვალში ან მარტში პროკურატურა სრულად იქნება ჩამოყალიბებული ცინცაბაძის პაკეტში არსებული სისხლის სამართლის ყველა საქმეზე. მან ისაუბრა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 353/353¹ მუხლების გამიჯვნასთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ რეკომენდაციის საჭიროება განაპირობა გარკვეულ შემთხვევებში

პროცესურორების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების სხვადასხვანაირად დაკვალიფიცირების პრაქტიკამ. მისი თქმით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციის წყალობით, დღესდღეობით, პრობლემა უკვე აღმოფხვრილია.

ამის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონი ეკა ბესელიას კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ სწორედ მეტი გამჭვირვალობის მიზნით გადაწყდა მთავარი პროცესურორის ანგარიშში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით მონაცემების ასახვა. ქალბატონმა თეამ დადებითად შეაფასა მსგავსი პრაქტიკა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ ანგარიშებშიც იქნებოდა შესაძლებელი მსგავსი ინფორმაციის ხილვა. აღნიშნულს დაეთანხმა ქალბატონი ეკა ბესელია და თავის მხრივ დასძინა, რომ მზადდება რიგით მეათე ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სრულდება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ წინა ანგარიშში ძალიან კარგი შეფასებები გვქონდა, მნიშვნელოვანია ამ ტენდენციის გაგრძელება.

საპროცესურო საბჭოს თავმჯდომარე შეეხო ბატონი ვასილ მშვენიერაძის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მომავალ სხდომაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მარტში გაიმართება, შედგება პროგრამის პრეზენტაცია და დამსწრეთა ინფორმირება, თუ რა ეტაპზეა აღნიშნული პროგრამა. მან ხაზი გაუსვა იმ კოლოსალურ შრომას, რომელიც პროგრამის მომზადებაზე დაიხარჯა. ამჟამად „სმართ ლოჯიქის“ 5 თანამშრომელი მუშაობს პროგრამაზე, რომლის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი პროცესურორებიც. პროგრამის სისტემაში ჩაშვებისთანავე პროცესურორებთან ერთად მასში ჩაერთვებიან სუს-ის და შსს-ის თანამშრომლები. რაც შეეხება მოსამართლეების ჩართვას პროგრამაში, იუსტიციის მინისტრი მიესალმა ბატონი ვასილის მიერ გამოთქმულ მზაობას, თუმცა, აღნიშნა, რომ მეორე საკითხია, რამდენად მზად არის ტექნიკურად სასამართლო კორპუსი ამისთვის და რამდენად დროულად მოხერხდებოდა პროგრამის ამოქმედება. თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელმძღვანელის პირობებში ადვოკატთა ასოციაციაც გამოთქვამს მზაობას ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ქალბატონ ირმა ჭკადუას, რომელიც დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ჯარიმის დანიშნის დროს ნამდვილად ხდება ბრალდებულის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება. მან, ასევე, ხაზი გაუსვა ბოლო პერიოდში არასრულწლოვნებთან მიმართებით არსებული ფონის განსაკუთრებულ სიმძიმეს და უფრო მეტი ჩართულობისთვის საბჭოს წევრებს შესთავაზა პრობლემურ სკოლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების ჩატარება. ქალბატონი ირმას განცხადებით, არასრულწლოვნების შემთხვევაში აუცილებელია დანაშაულის ხარისხის მკაცრად გამიჯვნა,



რადგან ბოლო დროის ტენდენციით, დაჭრის ყველა შემთხვევა მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება. მისი თქმით, ამის გამო არასრულწლოვნებს უწევთ საპატიმრო დაწესებულებაში წასვლა, რაც, შექმნილი ვითარებიდან და ფონიდან გამომდინარე, შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ფსიქიკაზე. მან, ასევე, ისაუბრა საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულთათვის მათი უფლებამოსილების თაობაზე პროკურორების შხრიდან უფრო მეტი განმარტების გაკეთების აუცილებლობაზე, რადგან ზოგჯერ ადგილი აქვს დაზარალებულთა მიერ მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. პროკურორებისთვის რეკომენდაციების გაცემის საკითხზე ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, რომ აუცილებელია, პროკურორებმა მხოლოდ რეკომენდაციების მიხედვით არ იმოქმედონ და თითოეული საქმის მიმართ ინდივიდუალური მიდგომაც გამოიყენონ, შემთხვევათა და პიროვნებათა ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე. შემდგომ მან ისაუბრა ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელის გამოყენების პრაქტიკაზე და პოლიციის შენობებში არსებული ვიდეო კამერებიდან ჩანაწერების ამოღების პრობლემებზე. კამერების ჩანაწერების მიუწვდომლობის საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა ირმამ ხაზი გაუსვა იმას, რომ მსგავსი ფაქტები დაცვის მხარეს აყენებს ბრალდების მხარესთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში, შედეგად კი, ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი. ბოლოს ქალბატონმა ირმამ მოუწოდა მოსამართლეებს და პროკურორებს საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზების გამოსასწორებლად ადვოკატებთან ერთად მუშაობისკენ.

მთავარი პროკურორი გამოეხმაურა არასრულწლოვნებთან შეხვედრების საკითხს და განაცხადა, რომ მთავარი პროკურატურა სკოლებსა და სასწავლებლებში პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს ამჟამადაც ახორციელებს. მან აღნიშნა, რომ წელს არასრულწლოვნებზე განსაკუთრებული ყურადღებაა გადატანილი და მრავალი მსგავსი ღონისძიება დაიგეგმა სკოლებში. ბატონმა ირაკლიმ ქალბატონ ირმასაც შესთავაზა ამგვარი პრევენციული ხასიათის ღონისძიებებში ჩართვა. არასრულწლოვნებთან მიმართებით სასჯელის სახედ პატიმრობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ პატიმრობის მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს - მაშინ, როდესაც დანაშაული საზოგადოებრივ საშიშროებასა და მომეტებულ რისკთან არის დაკავშირებული. პირველადი კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის პროკურატურა ექსპერტიზას ვერ დაელოდება, რადგან მას აკისრია დროული რეაგირების მოხდენის ვალდებულება. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამომიების ეტაპზე პროკურატურა ყოველთვის ითვალისწინებს ექსპერტიზის მიერ გამოვლენილ საბოლოო შედეგებს.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, როგორც მთავარმა პროკურორმა განაცხადა, არსებობს დაზარალებულებთან კონსულტაციის და მათი პოზიციის გარკვევის პრაქტიკა, თუ დაზარალებულის პოზიცია გონივრულია, პროკურატურა იზიარებს ამ პოზიციას და დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ ფორმდება ბრალდებულ პირთან საპროცესო



შეთანხმება, ეს განსაკუთრებით ძალადობრივ დანაშაულებს ეხება, ასევე შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულს ფინანსური ზიანი მიადგა. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ფაქტი, როდესაც დაზარალებული თავის უფლებას მართლსაწინააღმდეგოდ იყენებს, ბატონმა ირაკლი შოთაძემ ქალბატონ ირმას მოუწოდა მიმართოს პროკურატურას, რათა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ოჯახში ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებით, როგორც ბატონმა ირაკლიმ განაცხადა, გასულ წლებში მოქმედმა ლიბერალურმა პოლიტიკამ ამ მხრივ უარყოფითი შედეგები გამოიღო. მისი თქმით, პროკურატურა ამ ეტაპზე ახალ მკაცრ პოლიტიკას ატარებს და ამ მიდგომის შერჩილება დიდ რისკებთან იქნება დაკავშირებული. მაგალითისთვის, 2017 წელს ამ კატეგორიის დანაშაულებზე 2000-მდე პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 85% შემთხვევაში პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა. აქედან სასამართლომ, დაახლოებით, 58% დააკმაყოფილა და სასჯელის სახედ განუსაზღვრა პატიმრობა. ბატონი ირაკლის განცხადებით, საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და, პირველ რიგში, საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ამ ეტაპზე ასეთი კატეგორიის დანაშაულებთან მამართებით მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო.

შემდგომ ქალბატონი ირმა ჭიადუა შეეხო იმ პირთა დაკავების საკითხს, ვისაც ჩხრევისას მცირე ოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩნდება. მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ პირთა დაკავების აუცილებლობა და აღნიშნა, რომ თუკი ექსპერტიზის დასკვნამდე არ მოხდება ასეთი პირების დაკავება, სადაც თვალზილულია ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, მნიშვნელოვნად დაიზოგებოდა სახელმწიფო რესურსი. მთავარმა პროკურორმა ქალბატონ ირმას პასუხად განუმარტა, რომ მსგავს შემთხვევებში მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ნარკოტიკის ოდენობა, არამედ მოწმდება, ხომ არ არის პირი ნასამართლევი, სხვა საქმეში ხომ არ ფიგურირებს და, ზოგადად, კომპლექსურად მოწმდება ყველა ის დეტალი, რაც საჭიროა საგამოძიებო პროცედურებისთვის და აქედან გამომდინარე მიიღება შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა შემდგომ სიტყვა გადასცა ბატონ პოლიკარპე (თემურ) მონიავას („ევროპული აკადემიის“ პროფესორი). მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, მთავარი პროკურორის მსგავსად, მის მოადგილეებსაც მიეღოთ ანგარიშის წარმოდგენაში მონაწილეობა. ბატონმა მონიავამ ჩარჩორეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროკურორი თავის უფლება-მოვალეობებში ისედაც შეზღუდულია საპროცესო კანონმდებლობითა და პროკურატურის შესახებ კანონით. შესაბამისად, დამატებითი რეგულაციების შექმნა მხოლოდ გაართულებს მისი საქმისწარმოების პროცესს; საჭიროა, პროკურორს მიეცეს გარკვეული თავისუფლება და საქმე შეფასდეს მიღებული შედეგის საფუძველზე.



სისხლის სამართლის პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით ბატონმა პოლიკარპე (თემურ) მონიავამ აღნიშნა, რომ დღემდე მოქმედია იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით დამტკიცებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც, მისი თქმით, აბსოლუტურად გაუმართავია, მათ შორის სამართლებრივად და არ შეესაბამება დღევანდელ რეალობას. მისი განცხადებით, საჭიროა ახალი დოკუმენტის მიღება და 2010 წლის დოკუმენტის გაუქმება. იგი მიესალმება 2018 წლიდან რედაქტირებული კონსტიტუციის ამოქმედებას, რომელიც პროცესუალურას გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს.

საპროცესუალურო საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ მონიავას და აღნიშნა რომ 2010 წლის 8 ოქტომბრის დოკუმენტი პროცესუალურის მიერ პრაქტიკაში არ გამოიყენება და, მირითადად, დოკტრინული ხასიათისაა. ქალბატონი თეა დაეთანხმა ბატონ პოლიკარპე (თემურ) მონიავას ახალი დოკუმენტის მიღების საჭიროებასთან დაკავშირებით. მისივე განცხადებით, პროცესუალურაში მიმდინარეობდა სამუშაოები სისხლის სამართლის ახალი პოლიტიკის დოკუმენტზე და დასრულებისთანავე შეძლებისდაგვარად შემჭიდროებულ ვადებში დამტკიცდებოდა შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

ქალბატონმა თეამ წამოაყენა ინიციატივა, მთავარი პროცესუალურის ანგარიშის გავრცელებასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებსა და უნივერსიტეტებში. მისი განცხადებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამედროვე სამართლებრივ სამეცნიერო სტატიებში არ არის ზუსტად აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები, ან თუ არის ძალიან ძველი მონაცემებია, რაც, მირითადად, არ შეესაბამება დღევანდელ რეალობას და იმ უახლოეს სტატისტიკას, რაც პროცესუალურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებშია ასახული. ქალბატონმა თეამ თხოვნით მიმართა ბატონ მონიავას, სამდივნოს დახმარებოდა სიის შემუშავებაში, სადაც დაფიქსირდებოდა ყველა ის უნივერსიტეტი და სამეცნიერო საზოგადოება, რომელთათვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს მთავარი პროცესუალურის ანგარიშების მიწოდება. საბჭოს წევრებმა მოიწონეს ინიციატივა, ხოლო ბატონმა პოლიკარპე (თემურ) მონიავამ მზაობა გამოხატა სიის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღებაზე.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა სურვილი გამოთქვა, დაეფიქსირებინა რამდენიმე მოსაზრება ანგარიშში მოცემულ გარკვეულ მონაცემებთან დაკავშირებით.

როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი ანგარიშის მე-17 გვერდზე, სადაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ჯარიმის თანხების მაჩვენებელი იყო მოყვანილი, სასურველი იქნებოდა, სტატისტიკურად ასახულიყო მთლიანი ჯამური თანხის გადანაწილება თითოეულ მოქალაქეზე (მათი რაოდენობიდან გამომდინარე), ანუ, საშუალოდ, თითო ადამიანზე პროცესუალურაშ ჯარიმის სახით რა ოდენობის თანხა გადარიცხა ბიუჯეტში. ეს



მოგვცემდა შესაძლებლობას, გვეჩვენებინა დინამიკა წლების მიხედვით, ამასთან, გამოიკვეთებოდა ის ფაქტიც, რომ თანხა ყოველთვის მორგებული იყო პირის ქონებრივ მდგომარეობაზე. ასევე, ანგარიშის 27-ე გვერდის ბოლოს წინა აბზაცში მოყვანილი იყო არასრულწლოვანთა საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების 2014 წლიდან წარმოებული სტატისტიკა. ქალბატონი თეას აზრით, საჭიროა აისახოს წინა წლების მონაცემებიც და, თუ 2014 წლამდე არ იწარმოებოდა ამგვარი სტატისტიკა, ეს აღნიშნული ყოფილიყო შენიშვნის სახით. თავმჯდომარის განცხადებით, მნიშვნელოვანია გასული წლების სტატისტიკა, თუ რამდენი არასრულწლოვანი იხდიდა სასჯელს წინა ხელისუფლების მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად და რამდენად ლიბერალურია ამქამად მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა. ანგარიშის 35-ე და 36-ე გვერდებზე მოცემული იყო ორი წლის მაჩვენებელი, თუ რა ოდენობის ღირებულების ქონება დაუბრუნდათ მოქალაქეებს 2016-2017 წლებში. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ეს ინფორმაცია საჭიროებდა დეტალურ განმარტებას და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გრაფიკულად გამოსახვა. დინამიკის საჩვენებლად საჭირო იყო ათვლის დაწყება 2015 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ჩამორთმეული ქონებების დაბრუნების პროცესი დაიწყო. ოჯახური დანაშაულის საკითხზე საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა პროკურატურის წარმომადგენლებს, ანგარიშში 41-ე გვერდზე აესახათ მომართვიანობის ზრდის დინამიკა, რაც გაცილებით მაღალი იყო წინა წლებთან შედარებით და პროკურატურის ეფექტიან საქმიანობაზე მიანიშნებდა. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევების რაოდენობის ასახვა.

ამ მხრივ საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს საბჭოს წევრებმა, მათ შორის, ქალბატონმა ნათია სონდულაშვილმა (საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი). მისი განცხადებით, ოჯახური ძალადობის დროს, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა სოციალური სერვისების გამოყენება და მათი გაძლიერება. ქალბატონმა ნათიამ აღნიშნა, რომ ძალადობრივ დანაშაულებს ახასიათებდა წრიულობა; ცალკე აღებული ერთჯერადი ძალადობის ფაქტი არ არსებობდა - იგი იყო განმეორებითი და არაერთჯერადი. პრობლემის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სახელმწიფო სერვისების გაძლიერება.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პროკურატურის გენინსპექციის საქმიანობის შედეგებზე საუბრისას ანგარიშის 54-ე გვერდის ბოლო და ბოლოდან მე-3 აბზაცების ურთიერთმიმართება ბუნდოვანია და საჭიროა მათი დეტალური განმარტება, თუ რას ეხება საკითხი.

ზატონმა კონსტანტინე სირაძემ (ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი) მადლობა გადაუხადა მთავარ პროკურორს წარმოდგენილი ანგარიშისთვის. მისი მირითადი შეკითხვები შეეხებოდა ოჯახურ ძალადობასა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ

დანაშაულებთან მიმართებით არსებულ ვითარებას, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ის სოციალური პროექტები, რომლებიც ხორციელდებოდა პროკურატურის მიერ მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. მან პოზიტიურად შეაფასა ანგარიშში მოყვანილი დინამიკა, რომელიც ცხადყოფდა, რომ ოჯახურ მალადობებზე მომართვიანობა მკვეთრად იყო გაზრდილი, ხოლო არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე რეციდივის მაჩვენებელი - შემცირებული. ბატონი კონსტანტინეს განცხადებით, ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ძირითადად, ყველა მის კითხვას სრულყოფილად სცემდა პასუხს და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ანგარიშზე მომუშავე პირებს გაწეული სამუშაოსათვის.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ მონაცემების სტატისტიკურად წარმოებასთან დაკავშირებით მოცემულ ეტაპზე პროკურატურას გარკვეული დაბრკოლებები ექმნებოდა, თუმცა, 2018 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეწყობით პროკურატურას ეძლევა შესაძლებლობა, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე სისტემატიზებული სახით განახორციელოს საქმისწარმოება და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. როგორც თავად აღნიშნა, შემდგომ ანგარიშში იუსტიციის მინისტრის ყველა მოსაზრება სტატისტიკური მონაცემების დამატების თაობაზე ასახული იქნებოდა სრულყოფილად.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მთავარ პროკურორს და პროკურატურის წარმომადგენლებს ანგარიშის დასამუშავებლად გაწეული შრომისთვის; ამასთან, საბჭოს წევრების ინფორმირების მიზნით აღნიშნა, რომ საპროკურორო საბჭოს შექმნის დღიდან საბჭოს სახელზე სულ შემოსული იყო 22 განცხადება და ყველა მათგანი ინდივიდუალურ სისხლის სამართლის საქმეს შეეხებოდა. განმცხადებლები, ძირითადად, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს მომართავდნენ თხოვნით, დაეჩქარებინა ან ხელი შეეწყო სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებისთვის. ასეთ შემთხვევებში, საპროკურორო საბჭოს სამდივნოს მეშვეობით განმცხადებლებს წერილობით დეტალურად განემარტებათ საბჭოს უფლება-მოვალეობები და მიეწოდებათ ინფორმაცია მათ მიერ შემოტანილი საჩივრის უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნასთან დაკავშირებით. ისეთი შინარსის განცხადება, რომლის განხილვაც საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, ჯერ არ დაფიქსირებულა. თუკი მსგავსი კატეგორიის განცხადებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ეხება, მომავალშიც შემოვა, მიზანშეწონილია რეაგირების მექანიზმი აისახოს საბჭოს დებულებაში და სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს, რათა თავმჯდომარის დავალების საფუძველზე საბჭოს სამდივნოს ჰქონდეს მსგავსი შინარსის მქონე წერილების განხილვისა და უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნის საშუალება.



ზემოხსენებულ განცხადებას გამოეხმაურა ქალბატონმა ირმა ჭვადუა და აღნიშნა, რომ მასაც, როგორც საპროკურორო საბჭოს წევრს, ხშირად უკავშირდებიან მოქალაქეები და სთხოვენ გარკვეული საკითხების გადაწყვეტას.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, დააყენა წინადადება, დებულებაში აისახოს ქალბატონი ირმას მიერ მოყვანილი შემთხვევაც და საბჭოს წევრს ჰქონდეს უფლება, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარმოადგინოს (გადმოაგზავნოს) მსგავსი შინაარსის მქონე განცხადებები, რომლებზეც სამდივნოს მხრიდან მოხდება შესაბამისი, ზემოაღწერილი რეაგირება.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე პირებს მადლობა გადაუხადა მონაწილეობისათვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 15:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

 თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ეკა ბესელია

გიორგი გაბოძე


ანა კალანდაძე

ოთარ კახიძე

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ვასილ მშვენიერაძე

კონსტანტინე სირაძე



ნათია სონდულაშვილი

ანზორ უსტიაძე

გოჩა ფარულავა

მამუკა ფიფია

ირმა ჭიადავა

საქართველოს საპროკურორო საბჭოს
2018 წლის 6 თებერვლის სხდომის
ოქმი №7